# ცნობის ფურცელი

№ 2607 პარასკევი, 10 სექტემბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2607

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე[illegible]—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. [illegible]ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible]ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) აღმოჩენათა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები. 5) სათამაშონი, გასართობი; რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა ქნ. ნინო ი. ძოგულაშვილი. რედაქტორები { ქნ. ელ. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზ.გ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(შ. 0—2) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".

---

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიახამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

[illegible] ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

[illegible] ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible]ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

მ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 სათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირაო. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

[illegible] რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოდ აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მოთავსებით. კვარტირები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ნიკოლოზის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წო.) ტელეფონი № 274.

---

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

(ელიზაბედის ქ., № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ჯისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

---

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

---

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—7)

---

კბილის ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7. კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—9)

---

პანსიონი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებლებში. (150—218—34)

---

კახეთის მევენახეთა საზოგადოების

„კახეთი"-ს

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1904 წლის 23 ენკენისთვეს დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე.

კრებამ უნდა განიხილოს: ახალ განყოფილებების გახსნა, წესდების §§ 4 და 5 განმარტება, 2 სარევიზიო წევრის არჩევანი. (3—1)

---

მისაღები ეგზამენები ტფილისის

საბაღოსნო სკოლაში

დანიშნული არის 25—29 ენკენისთვემდე. (2—308—1)

---

ექიმი

ა. ნ. დიახამიძე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—19)

---

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

კონსტანტინე იოსების ძე

ჯაფარიძე

გადავიდა რეუტოვის ქუჩაზე, ფიფინოვის სახლში. № 21. (3—6—2)

---

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—5)

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 სექტემბერი

**ხაბაროვსკი,** 6 სექტემბერი. იმ სასანიტარო მატარებლებს, რომლებშიაც დაჭრილნი არიან, გენერალი ლინევიჩი ეგებება ხოლმე.

**ვაშინგტონი,** 6 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). პირობის ძალით, „ლენას"-ს აფიცრებსა და მატროსებს თავისუფლება ეძლევათ სან-ფრანცისკოში, მაგრამ ომის გათავებამდე ამ ქალაქიდან წასვლა ან სამშობლოში დაბრუნება არ შეუძლიანთ, თუ რუსეთსა და იაპონიას შორის რაიმე შეთანხმება არ მოხდა.

**ჩიფუ,** 5 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). თავადი რაძივილი ამბობს, რომ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს შეუძლიან 6 თვეს კიდევ გამაგრდესო. რაძივილი და ერთი სხვა აფიცერი დაუყოვნებლივ მიდიან აქედან; თან მიაქვთ სტესელის პასუხი ხელმწიფე იმპერატორის მილოცვაზე. სტესელი აცხადებს, რომ მეციხოვნე ჯარს დახმარების იმედი აქვს, მაგრამ მზად არის ამოსწყდეს უკანასკნელ კაცამდეო. პორტ-არტურის იმ აფიცრებისაგან მიღებულ წერილების თანახმად, რომელთაც ცოლები ჩიფუში ჰყავთ, ლიაოტეშანის სიმაგრეზე დადგმული ზარბაზნები თითქმის სულ გაფუჭებულა ყუმბარებისაგან. რუსებს ფუგასები ჩაუწყვიათ სიმაგრის წინ, დასავლეთ მხარეს, 4 ვერსის მანძილზე.—ხმა დადის, რომ იმ გემმა, რომელმაც იაპონელთა წრე გაარღვია, პორტ-არტურში მიიტანა წყლის ქვეშ მავალი ნავიო. ნავი დაშლილი მიუტანიათ, მაგრამ ქალაქში არ აღმოჩნდა ისეთი ინჟენერი, რომელსაც ასეთ ნავის მექანიზმი სცოდნოდა. „პერესვეტ"-ის მეზღვაურებს უთხოვნიათ, ნავზე ჩვენ მიგვიღეთო.—სურსათი ჯარს საკმაო მოსდის.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის სტესელის დეპეშები, მისს უდიდებულესობის სახელობაზე: 1) 28 აგვისტოს: „ყოველ დღე იაპონელები ზარმაზნებს ესვრიან ჩვენ სიმაგრეებს, ბატარეებსა და ციხეს, მაგრამ აქტიურ მოქმედებას მათი ჯარი ჯერ-ჯერობით არ იწყებს. დაჭრილნი რჩებიან და იხვეწებიან, საბრძოლველად გაგვგზავნეთო. ესენი გმირები არიან. ჯარი კარგ გუნებაზეა". 2) 3 სექტემბერს: „3 სექტემბერს, ღამე, ასე 3 საათზე, იაპონელთა ერთმა ბატალიონმა იერიში მოიტანა ვოდოპროვოდნი რედუტზე, ჩვენმა ჯარმა მოიგერია იაპონელნი. მტერი უკან წავიდა, მაგრამ ნახევარის საათის შემდეგ, როდესაც ჯარი მიეშველა, ხელახლა გამოემართა იერიშით. ჩვენმა ჯარმა ეს იერიშიც მოიგერია თოფებითა და ტყვიის მტყორცნელებით; ზარბაზნებიც ეხმარებოდა ჩვენ ჯარს. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამის შემდეგ აღარ ცდილან იერიშის მოტანას. თავი ისახელა მამაცობით პოდპორუჩიკმა ფილიპოვმა. ზემოდ აღნიშნულს ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას".

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს უდიდებულესობას 6 სექტემბერს: „4 სექტემბერს რაზმები გავგზავნეთ იაპონელთა პოზიციების დასაზვერავად ვანიუპუზასთან. ეს პოზიციები ძალიან გამაგრებული აღმოჩნდა. იაპონელებს იქ ჰყოლიათ ქვეითა ჯარი, ერთ ბრიგადაზე არა ნაკლები, და ჰქონიათ 12 ზარბაზანი. ვანიუპუზას დასავლეთით ყაზახთა მზვერავი რაზმი თავს დაეცა იაპონელების ტრანსპორტს და ხელთ ჩაიგდო 30 ცხენი თავის ტვირთით. ვანიუპუზას აღმოსავლეთით მტერი არ აღმოჩნდა. 5 სექტემბერს იაპონელნი წინ არ წამოწეულან, მაგრამ შევნიშნეთ-კი, რომ სოფელ ვანიუპუზის მიდამოებში ახალი ჯარი მივიდა. ლიაოიანთან მტრის ჯარის დიდი ნაწილი უკვე გადავიდა მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზე. ზემოდ აღნიშნულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას".

**პეტერბურგი.** მთავარ საზღვაო შტაბის ცნობა 7 სექტემბერს: „პორტ-არტურიდან მიღებულ ცნობებით, 11 აგვისტოს, როდესაც იაპონელთა მიერ ჩაწყობილ ნაღმებისაგან რეიდს ასუფთავებდნენ, დაიღუპნენ ლეიტენანტები რიხტერი 1 და კაშერინინოვი; დაიჭრნენ ბარონი დრახენფელსი და ინჟენერ-მექანიკოსი ბრუნსი 2".

**ჩიფუ,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). 19 დღის განმავლობაში იაპონელები ემზადებოდნენ პორტ-არტურზე იერიშის მისატანად. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს იაპონელებს უნდოდათ აეღოთ ძიგუანშანი და ერლუნშანი, აგრეთვე ამათ შუა მდებარე სიმაგრეები. 10 დღეს გასტანა იმ შტურმებმა, რომელიც იაპონელებმა აგვისტოს დამლევს (ახალის სტილით) მოახდინეს. მეტად ცხარე ბრძოლა იყო განსაკუთრებით პირველ სამ და უკანასკნელ 4 დღეს. იაპონელებმა 18 აგვისტოს დიდ მანძილზე დაიწიეს უკან, მაგრამ ხელთ ჩაიგდეს და შეინარჩუნეს ოთხი მეორე ხარისხოვანი სიმაგრე. ორი სიმაგრე ზედ ერლუნშანთანაა, ორი დანარჩენი უფრო მოშორებით. 18 აგვისტოს შემდეგ იაპონელებს თითქმის სულ არ უსროლიათ ყუმბარები რუსის პოზიციებისთვის, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსები უშენდნენ ციხიდან ყუმბარებს იმ ოთხ სიმაგრეს, რომელიც იაპონელებმა აიღეს. ყოველ ღამ რუსის რაზმები ციხიდან გამოდიან ხსენებულ პოზიციების უკანვე დასაბრუნებლად, მაგრამ ეს ცდა უნაყოფოდ რჩება. დალნიდან მოსულ იაპონელების სიტყვით, იაპონიის ჯარი ეხლა პატივის ცემით ეპყრობა რუსებს ასეთ გამაგრეების გამო. იაპონელნი ჰგრძნობენ, რომ თუ ერლუნშანი და სხვა სიმაგრეები აიღეს, ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯი იქნება პორტ-არტურის დასაპყრობად. მგონი, რუსები არ მოელოდნენ შტურმს ოქტომბრის (ახალის სტილით) პირველ რიცხვებამდე, რადგან იაპონელები ნელა და ანგარიშით მიიწევდნენ წინ. აგვისტოს დამლევს (ახალის სტილით), როდესაც იაპონელებმა ძიგუნშანის აღება განიზრახეს, თითქმის ერთი პოლკი შესწირეს ამ განზრახვას. აქედანა სჩანს, რა ძნელი ასაღებია პორტ-არტური.

**პარიზი,** 7 სექტემბერი. მუკდენიდან მიღებულ დეპეშის თანახმად, უკვე ჩასულა პირველ კორპუსის ჯარი. ამ კორპუსის მე-22 დივიზია, გენერალის აფანასოვიჩის უფროსობით, როგორც ამბობენ, ტელინს წავა, ხოლო 37 დივიზია დროებით მუკდენში დარჩება.

**რომი,** 7 სექტემბერი. ლიაოიანიდან მიღებულ ცნობებით, იაპონელთა ის ჯარი, რომელიც მუკდენის ასაღებად მიდის, 300 ათას კაცისა და 850 ზარბაზნისაგან შესდგება. კუროკის ჯარს ორი დივიზია მიუმატეს.

**შანჰაი,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ.") დიდ შტურმში პორტ-არტურთან მონაწილეობა მიიღო იაპონიის ფლოტმაც. იაპონელებმა 7 სექტემბერს, დილით, აიღეს თითო სიმაგრე შეიძიანს ორსავე მხარეს.

**ლონდონი,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). იაპონიის საელჩო აცხადებს, რომ კუროკიმ 200 ტონა ქვა-ნახშირი ჩაიგდო ხელშიო.

**ხარბინი,** 7 სექტემბერი (სააგენტოს საკ. კორესპ.). მიღებულ ცნობებით, 4 სექტემბერს ჩვენმა რაზმებმა დაზვერეს ვანიუპუზასთან ის ადგილები, სადაც იაპონიის ჯარია. ჩვენ რაზმებს უფროსობდნენ გენერლები რენენკამფი და სამსონოვი. გამოირკვა, რომ ვანიუპუზასთან იაპონელებს კარგა ბლომა ჯარი ჰყოლიათ. დაზვერის დროს რენენკამფისა და სამსონოვის რაზმები ერთად მოქმედებდნენ. რენენკამფის რაზმი შუადღისას ხუაძიალინთან მივიდა, გაშდევნა იაპონელთა დარაჯნი და დაიჭირა სიმაღლეები. სოფლის აღმოსავლეთით ცხარე სროლა ასტყდა. ამ მხარეს იაპონელთა 4 როტა იყო. რაზმმა საქმე გაათავა და ასე 2 საათზე უკან დაბრუნდა. სამსონოვის რაზმი მთის გზით წავიდა აღმოსავლეთისკენ და დაიჭირა ფინდიაგოუს მიდამოები. როდესაც იაპონელთა როტები რენენკამფის წინააღმდეგ გაემართნენ, სამსონოვმა სროლა დაუწყო ორ ზარბაზნიდან და შეაჩერა ეს როტები. შემდეგ, 5 საათზე, სამსონოვის რაზმმა უკან დაიწია.

**ვალეჰო** (კალიფორნია), 6 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). ტრანსპორტს „ლენა"-ს ზარბაზნები აჰყარეს. სამხედრო მასალას ხვალ გაზიდავენ გემიდან.

**ტოკიო,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). მანჯურიის ჯარის მთავარ სადგომიდან დეპეშით იუწყებიან, რომ დღეს დაათვალიერეს სამხედრო დავლა და აღმოჩნდა, რომ იაპონელებს ლიაოიანის სადგურის მახლობლად შემდეგი შენობები აუღიათ: 253 სახლი და 214 საქონლის საწყობი, ზომით 58,000 ოთხკუთხი იარდი. ამას გარდა იაპონელებს დარჩათ 18 ათასი კოკუ (საწყაო) ქერი, ბრინჯი, პური და ფეტვი, 1300 ყუთი ნავთი, 18 ათასი ყუთი შაქარი, 166 ტონნა ქვა-ნახშირი და დიდ-ძალი შეშა.

**სეული,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). კორეიაში მყოფ იაპონიის ჯარის უფროსი გენერალი ხარაგუში ტოკიოში დაიბარეს.

**ჩიფუ,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). როგორც სარწმუნოდ იუწყებიან, გუშინ გათენებამდე დაიწყო საერთო შტურმი პორტ-არტურისა. როგორც ეტყობა, იაპონელებს უნდათ აიღონ უმთავრესი სიმაგრეები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

**მუკდენი,** 6 სექტემბერი. იაპონიის ჯარი მუკდენისკენ მიდის. ჯარი გაშლილია და წინ ნელა მიიწევს. მარცხენა ფრთე იაპონელებისა მდინარე ლიაოხემდე სწვდება, ხოლო მარჯვენა ფრთე მთებთანაა, ფუშუნის მღვიმე-მადაროების მახლობლად, მუკდენის აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 40 კილომეტრის მანძილზე. მუკდენის მცხოვრებნი მშვიდობიანად არიან. ვაჭრობა კვლავინდებურია. ლიაოიანის ბრძოლაში იაპონელებმა 30 ათას კაცამდე დაჰკარგეს.

### 8 სექტემბერი

**მოსკოვი.** ვოლხონკაში დაარსდა სამხედრო საავადმყოფო, გამართული სამხედრო მანდილოსნების მიერ. გენერლებისა და აფიცრებისა ცოლებმა და ქალებმა მოწყალების დათა მოვალეობანი იკისრეს.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 7 სექტემბერს: „ჯარში ცვლილება არ მომხდარა. სექტემბერში შევატყეთ, რომ იაპონელთა რაზმი დალინის უღელ-ტეხილის აღმოსავლეთით წავიდა. 7 სექტემბერს ნაშუადღევს იაპონელებმა ორჯელ მიიტანეს იერიში პოზიციაზე, რომელიც ამ უღელ-ტეხილზე ჩვენ ჯარს ეჭირა. ამასთან იაპონელებმა ოთხი როტა გაგზავნეს ჩვენ მარცხენა ფრთეს მოსავლელად. ორივე იერიში უკუ-აგდო ჩვენმა ჯარმა. ცხენოსნებმა შეაჩერეს იაპონელთა ის როტები, რომელნიც ჩვენი ჯარის მოსავლელად წავიდნენ. ჩვენ ცხენოსან რაზმს ტყვიის მტყორცნელებიც ჰქონდა. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას".

**პარიზი,** 8 სექტემბერი. თანახმად კერძო წერილისა, რომელსაც 17 აგვისტოს თარიღი აზის, საფრანგეთის საზღვაო აგენტი კიუვერვილი წერილის გაგზავნამდე რამდენისამე დღის წინად ჯერ ისევ პორტ-არტურში უნდა ყოფილიყო. წინად ფიქრობდნენ, რომ კიუვერვილი გერმანიის საზღვაო აგენტთან ერთად ცახიდან 21 ივლისს წავიდაო. ეხლა იმედი აქვთ, რომ კიუვერვილი ცოცხალია.

**მუკდენი,** 7 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). ბრძოლა აუცილებელია. მუკდენისკენ მიდის იაპონელთა რვა თუ ცხრა დივიზია. უზარმაზარი ფეტვი ყველგან მოსჭრეს და ეხლა გაშლილი მინდვრებია, სადაც სროლა ძალიან გაადვილდება. რუსის მოწინავე ჯარი მდინარე ხუნთანაა.

**მადრიდი,** 7 სექტემბერი („აჰავასის სააგ."). ბილბაოდან მიღებული დეპეშა უარს-ჰყოფს გუშინდელ ოფიციალურ ცნობას სანტა-მარიას კონცხის მახლობლად, გაშლილ ზღვაში, რუსის კრეისერის მიერ ინგლისის გემის შეპყრობის შესახებ.

**ტოკიო,** 8 სექტემბერი („რეიტ. სააგ."). ფიქრობენ, რომ ამ ცოტა ხანში დიდი ბრძოლა მოხდება მუკდენთან. გენერალმა კუროპატკინმა, როგორც ეტყობა, გადასწყვიტა, დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს იაპონელებს. კუროპატკინი სიმაგრეებს მართავს. ორივე ჯარმა შეისვენა ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ და ეხლა იაპონელებიც და რუსებიც მზად არიან ახალ ბრძოლისათვის. ამინდიც ხელს უწყობს სამხედრო მოქმედებებს. გზები გაშრა. იაპონელები საჩქაროდ აკეთებენ რკინის გზას. რამდენიმე სამხედრო აგენტმა, რომელიც წარსულ კვირას მოვიდნენ ტოკიოდან ლიაოიანში, ასი მილი გაიარა დაუხურავ ვაგონებით; ამ ვაგონებს მუშები მიათრევდნენ. ჯარიდან გზავნიან იმ პოვოზკებსა და მაშინებს, რომელიც იაპონელებმა რუსებს წაართვეს. რკინის გზას ლიაოიანიდან ამ ცოტა ხანში სავსებით შეაკეთებენ, რაიცა გააადვილებს ჯარისა და სურსათის გზავნას მოწინავე პოზიციებში. აქ ფიქრობენ, რომ ოიამა მოსვენებას არ მისცემს კუროპატკინს ზამთრამდე, მერე კი გაზაფხულამდე ეცდება ხელიდან არ გაუშვას მოწინავე პოზიციები.—ამ კვირია ელოდნენ პორტ-არტურის შტურმების განახლებას ახალის მეთოდით. მცოდნე წრეებს იმედი აქვთ, რომ პორტ-არტურს იაპონელები აიღებენ ათის დღისა ან ორის კვირის შემდეგ. მთავრობა არაფერს არ აცხადებს. ერთად-ერთი ოფიციალური ცნობები მოკლულ და დაჭრილ მეზღვაურთა მოკლე სიებია.—მანჯურიის ჯარის მთავარ-სადგომიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რუსის ჯარის ნაწილი, რომელიც დასაზვერად იყო გაგზავნილი, უკან წავიდა, პეიდიუძისაკენაო. 5 სექტემბერს იაპონელებისა და რუსების ჯარი ერთი-ერთმანეთის ახლო იდგა. შეტაკებები მოხდა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** „ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტი სწერს: გენ. კუროპატკინს მალე მთავარ-სარდლად დაჰნიშნავენ და უფრო მეტ უფლებას მისცემენო. აქამდე გენ. კუროპატკინი მხოლოდ მანჯურიის ჯარის უფროსად იყო. („ნ. დ.").

გენ. რენენკამფი სრულიად მორჩა, თავის დივიზიაში დაბრუნდა და სამსახურს ასრულებას შეუდგა („ნ. დ.").

უსურიის ცხენოსან ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი სამსონოვი ციმბირის ყაზახთა დივიზიის უფროსად დაინიშნა. („რ. ვ.").

პირველ არმიის კორპუსის დანარჩენი ნაწილი და მეექვსე ციმბირის კორპუსის პირველი ნაწილი მუკდენს მივიდნენ. რუსის ჯარს ძლიერ უჭირს ბინის შოვნა. („ნ. დ.").

„მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ლერუ სწერს: რუსეთის მთავარ-შტაბში მითხრეს, ის ცნობა, ვითომ გენ. ლინევიჩი 50 კაცით კორეიაში ჩავიდაო,—ტყუილია, გენ. ლინევიჩი დღესაც ვლადივოსტოკშიაო. („ნ. დ.").

„ლოკალ ანცაიგერ"-ს მუკდენიდან კერძო ცნობა მიუღია, 29 აგვისტოს გენ. კუროპატკინმა თავისი ჯარი დაათვალიერაო. აფიცრებსა და სალდათებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ პარადზე იმ ტანისამოსით მოსულიყვნენ, რა ტანისამოსიც ყოველ დღე აცვიათ. პარადის დროს ყველა ბატალიონის ფოტოგრაფიული სურათი გადაიღეს. გენ. კუროპატკინი დიდხანს ესაუბრა აფიცრებს და გიორგის ჯვრები დაურიგა სალდათებს. სურსათის სიმცირის გამო, სალდათებს სადღესასწაულო სადილი ვერ გაუმართეს. ამ პარადმა ცხადად დაანახვა ყველას, რომ რუსის ჯარს ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი სჭირიაო. („ნ. დ.").

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი 2 სექტემბერს დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა ლიაოიანში შედარებით ცოტა ჯარი დასტოვეს, უმთავრესი ჯარი-კი მუკდენისაკენ გაგზავნესო. იაპონელები დიდ-ძალ ჩინელ მუშას ამუშავებენ და ლიაოიანს ამაგრებენო. ჩინელები ამბობენ აგრეთვე, დალნისა და ინკოუს შუა რკინის გზაზე იაპონელებმა წესიერი მოძრაობა აღადგინესო. ვაგონები და ლოკომოტივები სან-ფრანცისკოდან (ამერიკიდან) მოიტანესო. ჩინელ ვაჭრებში ხმა დადის, თუ იაპონელები მუკდენს დაიჭერენ, აქედან სინმინტანამდე რკინის გზას გაიყვანენო.

იგივე კორესპონდენტი სწერს: ჩინელები ეხლა ისე ხალისიანად აღარ ეხმარებიან რუსის ჯარს, როგორც აქამდე ეხმარებოდნენო.

„ჟურნალ"-ის კორესპონდენტი ნოდო მუკდენიდან იუწყება: ჩინელი მოხელეები მუკდენში მოუთმენლად ელიან იაპონელებსაო. („ნ. დ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი ბენეტ ბერლეი სწერს: მუკდენიდან გამოქცეულმა ჩინელებმა ინკოუში ილაპარაკეს, 26 აგვისტოს მუკდენში 40 ათასი რუსის ჯარის-კაცი იდგაო. რუსის ჯარი ცუდ გუნებაზე იყო და უკან დასახევად ემზადებოდა. უმთავრესი ჯარი სამხედრო სურსათითა და ქარავანით წავიდა კიდევაც ტელინისაკენაო. ეტყობა, რუსები მუკდენთან დიდ ბრძოლას მოერიდებიან. იანტაის ქვანახშირის მაღნებში ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ აღარავინ მუშაობს; ამ მაღნებში თებერვალს აქეთ მაინც აღარა ყოფილა დიდი მუშაობა: დღეში 250 ტონაზე მეტს ნახშირს არ იღებდნენ. დალნიში და ინკოუში იაპონელებს გემებით ბევრი მაშველი ჯარი და ცხენი მოჰყავთ და სამხედრო სურსათი მოაქვთ მანჯურიაში გასაგზავნად. იაპონელებმა ლიაოხეს პირას ვიდრე სინმინტანამდე დიდი ჯარი ჩააყენეს; რუსის კავალერიას და ყაზახებს სულ არაფრად ა[illegible] აგდებენო. („ნ.").

„ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი ამტკიცებს, საეჭვოა, რომ მუკდ[illegible] მოკლე ხანში დიდი ბრძოლა მოხდეს [illegible] და თავი მიზეზი ისაა, რომ იაპონელე[illegible] გრძლივი დასვენება სჭირიათ. სამხედრ[illegible] რსათსა და საკვებსაც მალე ვერ მიიტანენ გაფუჭებულ გზებზე. მართალია მუკდენთან მისვლა მალე შეუძლიანთ, მაგრამ ამასაც დრო უნდა. დასასრულ მიმომხილველს საეჭვოდ მიაჩნია, რომ რუსები მუკდენთან იაპონელებს შეებრძოლნენ. რუსები პოლიტიკურის მოსაზრებით მოერიდებიან მუკდენთან ბრძოლას და ჩინეთის იმპერატორების სამარხსა და წმინდა ქალაქს ბრძოლის ველად არ გახდიან. თავიანთ წმინდა და სათაყვანო ადგილის შეგინებას ჩინელები არავის არ აპატიებენ. რუსებს კარგად ესმით ეს, და აკი ამიტომაც იმპერატორების აკლდამებთან მუდამ სალდათები უყენიათ დარაჯად, რომ არავინ არ გაძარცვოს და არ შელახოს ეს წმინდა ადგილი. („ნ.").

„ნ. ფრ. პრესე" იუწყება: ჩრდილოეთ ამერიკაში საიდუმლოდ წყალ ქვეშ მოსიარულე ნავებს აშენებენ იაპონიისათვისო, ირწმუნებიან, ამ ნავებს 11 ფუტი სიგანე ექნებათ, 60 ფუტი სიგრძე, საათში 8—10 მილს გაივლიან და შეეძლებათ, სრული 24 საათი დარჩნენ და 125 ფუტის სიღრმეზე ჩავიდნენ წყალ ქვეშ. პირველ ნავს ნოემბერში ჩაუშვებენ წყალში. ეს ნავები 35 ათას გირვანქა სტერლინგად ეღირება. პირობა ამ ნავების აშენებაზე ჯერ კიდევ წარსულ ივნისის ნახევარში დაიწერა, იმ დროს, როცა იაპონელებმა გაიგეს, რომ რუსეთმა გერმანიის ფირმებს წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავების აშენება შეუკვეთაო. („რ. ვ.").

ივნისის დამდეგს ჩაძირულ სატრანსპორტო გემ „იტაშიმარუ"-ზე რამდენიმე ინგლისელი აფიცერი დაიღუპა. „ნ. ფრ. პრ."-ს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის მთავრობამ ამ აფიცრებს სიკვდილის შემდეგ სხვა და სხვა ორდენები უბოძა და იმათ ოჯახებს კარგი პენსია დაუნიშნაო. ამას გარდა, მეგემეთა საზოგადოებამ „ნ[illegible] იუსენ კაიშამ"—„იტამიმარა" ამ საზოგადოებას ეკუთვნოდა—დაღუპულ ინგლისელ აფიცრების ოჯახებს ოცდა ათ-ათ თვის ჯამაგირი დაურიგაო. („რ. ვ.").

ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს „რუსკოე სლოვო"-ს: როცა რუსის ჯარმა ლიაოიანიდან უკან დაიხია, ერთი სალდათი უკან დარჩენილიყო იანტაისთან და დაღალულ[illegible] დასძინებოდა. რომ გაჰღვიძებოდა, დაენახა

# ფელეტონი

## წერილები ამერიკიდან

### სკოლაში

— რატომ გაკვეთილებს არ ამზადებს თქვენი შვილი ხვალისათვის?—ვკითხე აქ ნაცნობ სახლში ერთი რვა წლის ბავშის დედას.

— აქ პირველ ხანებში შინისთვის გაკვეთილებს არ აძლევენ, ჯერ მარტო სკოლაში სწავლობენ. ბავშვები შუადღემდის სკოლაში არიან, დანარჩენ დროს კი სულ თამაშობაში ატარებენ—მომიგო დედამ.—საზოგადოდ, აქ ბავშვები ძალიან ველურად იზრდებიან,—განაგრძო მან,—დედ-მამის მორჩილნი არ არიან, უფროსისა არ ეშინიანთ, უცხოსი არ ერიდებათ. ან კი რა გასაკვირველია ეს, როცა დედ-მამასაც კი აკრძალული აქვს ბავშის დასჯა ფიზიკურად; წარმოიდგინეთ, მამა შვილის ცემისათვის სატუსაღოში ამოჰყოფს თავსო!—შემომჩივლა დედამ.

— რა საგნებს ასწავლიან აქ პირველ დაწყებით სკოლაში?—ვკითხე დედას ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— წერა-კითხვას, ანგარიშს, გეოგრაფიას და ისტორიას.

— აბა, თუ იცი, როდიდან იწყება ისტორია?—მივუბრუნდი ბავშს.

— From revolutionary war (ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომიდგანაო), — მიუგო სწრაფად ბავშმა.

სწორე მოგახსენოთ, ასეთ პასუხს არ მოველოდი: მე მეგონა ბავშვი ხელად ადამ და ევის ისტორიას მომიყვებოდა.

— ვთქვათ, ბავშმა გაკვეთილი არ იცის, ან, საზოგადოდ, ცუდათ სწავლობს, რა სასჯელი მოელის სკოლის მთავრობისაგან?—შევეკითხე ისევ ბავშის დედას.

— სასჯელი?!—გაიკვირვა მან,—აქ ბავშის დასჯა რადაც არ ეხერხებათ. ფიზიკურად დასჯა კანონით აკრძალულია; სკოლიდან გამორიცხვა შეუძლებელია; ერთსა და იმავე კლასში ორ წელიწადს ძალიან იშვიათად სტოვებენ: ახალ მოსწავლისათვის მუდამ ადგილი თავისუფალი უნდა იყოს, რადგან აქ სწავლა ყველასათვის სავალდებულოა.—მიამბო დედამ.

დიახ, ამერიკაში სწავლა-განათლება სავალდებულოა. ეს, უეჭველია, თქვენც კარგად გეცოდინებათ, მკითხველო. უნდათ თუ არა, მშობლებმა ბავშვი თავის დროზე სკოლაში უნდა გაგზავნონ, თორემ კანონი პასუხს მოსთხოვს და სასტიკად დასჯის. მერე, რა საშიშია ასეთი მუქარა კანონის მხრივ, განა მშობლებს თვითონ არა სურთ სულით და გულით შვილს განათლება მისცენ?—მით უფრო, რომ აქ ეს განათლება უფასოა; პირველ დაწყებით და საშუალო სკოლას ბავშვი ისე დაამთავრებს, რომ მშობლებს ერთი გროშიც არ დაეხარჯებათ. ასე გასინჯეთ, სასწავლო ნივთებსაც კი უფასოდ აძლევენ ბავშვებს! მართალია ეს ასეა, მაგრამ, აბა ჰკითხეთ ღარიბს ან საშუალოდ შეძლებულს დედ-მამას: სად გირჩევნიათ შვილის გაგზავნა—სკოლაში განათლების მისაღებად, თუ ქარხანაში ფულის საშოვნელად. ისინი, რა თქმა უნდა, ქარხანას აძლევენ და სიამოვნებით გაგზავნიან იქ ნორჩ ბავშვს სამუშაოდ.

მაგრამ აქაურ მექარხნეს-კაპიტალისტს თავისი ინტერესები კარგად აქვს შეგნებული: იმან კარგად იცის, რომ გონებრივად და ფიზიკურად განუვითარებელ ბავშვის შრომა ნაყოფიერი არ არის; იგი საკმაოდ ვერ ისარგებლებს ასეთ კაცისაგან. და, აი, ბურჟუაზიულმა მთავრობამ აქ კარგა ხანია დაამტკიცა კანონი: ბავშვი 14 წლამდის სკოლას ნუ მოსცილდებაო.

ამ კანონის ძალით, ყოველმა ბავშვმა, სარწმუნოების, ეროვნების და სქესის გაურჩევლად, უნდა დაამთავროს ეგრედ წოდებული public school (სახალხო სკოლა).

ეს სკოლა მარტო ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას იძლევა. იგი თავისს მოწაფეებს კაბინეტისათვის კი არა, ცხოვრებისათვის ამზადებს. აქაური სკოლა ძარღვია საზოგადოებრივ ცხოვრებისა, მასთან მჭიდროდ შეკავშირებული. ამით განირჩევა იგი ჩვენებურ სკოლისაგან.

სწავლა და აღზრდა *) ერთსა და იმავე დროს,—ასეთია დანიშნულება აქაურ სკოლის. გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება ერთად, თანაბრად,—ასეთია პრინციპი აქაურ სასკოლო პროგრამისა.

ბავშვის განვითარება აქ ოთხის წლიდან იწყება. ოთხი წლის ბავშვი დედას მიჰყავს ეგრედ წოდებულ საბავშო ბაღში—Children garden-და იქ აბარებს. ბავშვები მთელ დღეებს ამ ბაღში ატარებენ, აქ მათ მასწავლებელი ართობს სხვა-და-სხვა თამაშობით, ნაციონალურ-პატრიოტულ სიმღერებს ასწავლის და დრო-გამოშვებით ამერიკის ისტორიიდან ადვილად გასაგების ენით სხვა-და-სხვა ცნობებს აწვდის.

საბავშო ბაღში და საზოგადოდ პირველ დაწყებით სკოლაში მასწავლებლად უმეტეს ნაწილად ქალები არიან. ქალი უფრო კარგად ექცევა ბავშვებს და ბავშვებიც ასეთ სკოლებს უფრო ეტანებიან. საბავშო ბაღებში მუდამ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ. შეიძლება მშობლები ახლად გადმოსახლებულნი იყვნენ, მათ შეიძლება ინგლისური სრულიადაც არ ესმოდეთ; მათი ხუთი წლის ბავშვი კი თამამად და შეუშინებლად ლაპარაკობს ამ ენაზე. საბავშო ბაღი უფასოა. მასწავლებლებს აქ ჯამაგირი—Bord of Education-საგან (კომისსია სახალხო განათლებისა) ეძლევათ. ზოგიერთ ბაღში ბავშვებს საჭმელსაც აძლევენ მთელის დღეობით—სულ 5-6 ცენტად.

ასე ატარებს ბავშვი დროს ექვს [illegible] ექვსის წლისა სკოლაში მიჰყავთ. [illegible] გსთქვით, პირველ კლასებში ბავშვებს [illegible] წერა-კითხვას ინგლისურ ენაზე, არით[illegible] გეოგრაფიას და ისტორიას. სკოლა სცდილობს ბავშვის გონება არ დაამძიმოს, სცდილობს ბავშვმა ძალ-დაუტანებლად შეითვისოს საჭირო ცოდნა, მას უნდა, სწავლა ბავშვისთვის ს[illegible] მოვნო გასართობ საგნად გადააქციოს. მაგალითად: გეოგრაფიის სწავლა ისეა მოწყობი[illegible] რომ ბავშვი, თუ სულ გონებით სუსტი არ არ[illegible] [illegible]

---

*) ბავშვი მასწავლებელს ისე უნდა უყურებდეს, როგორც საკუთარ მშობლებსაო—ამბობს ერთი კანონი [illegible]

ხელები შეკრული აქვს—იაპონელებს ეპოვათ და დაეტყვევებინათ. ორი დღე შეკრული ჰქონოდა ხელები, ჭმევით-კი კარგად აჭმევდნენ თურმე. მესამე დღეს ხელები გაეხსნათ და აღარც ღამე შეეკრათ. სალდათიც ამდგარიყო და იმ ღამეს გაქცეულიყო. გოლიანში გზა აებნეოდა, ჩრდილოეთის ნაცვლად სამხრე[illegible]ნ წასულიყო და 4 იაპონელ კავალე[illegible] ჩავარდნოდა ხელში. იაპონელებმა [illegible]ანეთში მოილაპარაკეს თურმე, ტყვე [illegible] რკინის გზამდე მიიყვანეს, მუკდენის გზა დანახვეს და გაუშვეს. როცა რუსმა ნახევარი ვერსი გამოიარა, უკან დააბრუნეს, საგზაოდ ორიოდე პური და ჰურჭლით წყალი მისცეს და ისევ გაანთავისუფლეს.

**ბრძოლა ლიაოიანთან.** „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო თანამშრომელი სწერს: 17 და 18 აგვისტოს იაპონელებმა (გენ. ოკუმ და ნოძუმ) მეტად მედგარი იერიში მიიტანეს ლიაოიანის პოზიციებზე და რუსის მარჯვენა ფრთას გვერდიდან შემოვლა დაუპირეს. მართალია რუსებმა ყველგან მოიგერიეს იაპონელები, მაგრამ გენ. კუროპატკინი მაინც იძულებული იყო, სარეზერვო ჯარი (მარქაფა ჯარი) გაეგზავნა გენ. ოკუსა და ნოძუს წინააღმდეგ. თორემ გენ. ოკუსა და ნოძუს არმიები ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, გენ. კუროპატკინი უფრო დიდ ჯარს გაჰგზავნიდა კუროკის წინააღმდეგ და წყალში გასვლას დაუშლიდაო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: გენ. მასუნაგამ მოახსენა იაპონიის მთავარ-შტაბს: ლიაოიანის მიდამოებში რუსები იაპონელების მოსატყუებლად პოზიციებზე ზარბაზნების მაგივრად შეღებილ ხის მორებს აწყობდნენ. ერთ ადგილას გორის ფერდობზე ჩალის კონები დაეწყოთ, ვითომ სალდათები დგანანო. საზოგადოდ რუსები ძველ ტაქტიკას მისდევენო. („ნ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი იუწყება: 20 აგვისტოს ლიაოიანთან ნეჟინის პოლკს დიდი ზარალი მოუვიდა: სალდათების ნახევარზე მეტი და აფიცრების სამი მე[illegible] მოუკლეს და დაუჭრესო.

„[illegible]ნტრალ ნიუსის სააგენტო“ იუწყება: [illegible]ოიანში რუსებმა იმდენი სავსები სურსა[illegible] დასტოვეს, რომ რამდენსამე დივიზიას 3 თვეს ეყოფაო. ამას გარდა, ლიაოიანში იაპონელებმა 10 სამგზავრო მეორე კლასის ვაგონი ჩაიგდეს ხელში, 4 ჯავშნიანი საქონლის ვაგონი და იანტაიში 7 უბრალო ვაგონიო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელი კორესპონდენტები ირწმუნებიან, რუსებმა ლიაოიანში იმდენი თივა და ქერი დატოვეს, რომ ოთხის დივიზიის ცხენებს სამ თვეს ეყოფათ საჭმელადაო. („რ. ს.“).

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, ვითომ იაპონელმა ჯარის კაცებმა ლიაოიანში 22 აგვისტოს უწესოება მოახდინეს და ამ დროს ინგლისელი მისსიონერი და ექიმი დასჭრესო. „სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: ეს ტყუილი ცნობაა. ტიანძინში მისიონერებს ცნობა მოუვიდათ ლიაოიანიდან, მისსიონერი ვესტვოტერი სრულიად კარგადაა და დაჭრილ იაპონელ და რუსის ჯარის კაცებს უვლისო. („ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს: ის ხმა, ვითომ იაპონელები ბრძოლის წინ ითრობოდნენ, ნამცეც ყურადღების ღირსი არააო. ეს ცხადად დამტკიცდა ლიაოიანთან. რამდენიმე დღე ზედი-ზედ ბრძოლა მთვრალ კაცს არას დროს არ შეუძლიანო.

# ომში

## მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ბრძოლის ველზე დარჩენილთა სიას:

ლიაოიანის ბრძოლაში მოკლულ იქნენ: პოდპოლკოვნიკი—მარსოვი-ტიშევსკი,—კაპიტანი—კრასნიცკი, პორუჩიკები—პავლოვსკი, დმიტრევსკი, ერმოლენკო და პოდპორუჩიკი ვალევახინი.

დაჭრილ იქნენ: პოლკოვნიკები—მაკოვი და მელიქოვი (ვენედიქტი მოსეს ძე, კოზლოვის მე-125 პოლკისა); პოდპოლკოვნიკები—გრიფინი, ჩუტი, რომანოვი და კაშერინინოვი; კაპიტნები—ნოსალევსკი, მურომცევი, დავიდოვი, გუნდარევი, რიბალკო, რჟეცკი, კრუჩეკ—გოლუბოვი, შუვალოვი, ბარანოვი, ოსტროვსკი, კოლოიანი, ოქროპირიძე (იოსებ ზურაბის ძე, ტობოლის მე-9 პოლკისა); შტაბს-კაპიტნები—ბანკოვსკი, პავლოვი, ბრაიკოვი, კამინსკი, ვერქენსკი, შუმაკოვი, კრეჩეტოვი; პორუჩიკები—მესხი (ალექსანდრე ირაკლის ძე, პენზის მე-121 პოლკისა), სერკოვი, მემიანცი (ნიკოლოოზ ტერ-ოჰანესას ძე, ტომსკის მე-122 პოლკისა), სტუდენევსკი, კარპოვიჩი, სტრადომსკი, ბაკალდინი, ნოეინი და ბოგდანოვი; პოდპორუჩიკები—ჩიკუნსკი, ბოგდანოვი, შჩერბინა, კრასილნიკოვი, ბორშევსკი, კამენსკი, ვისოცკი, კვიტკა, სტანისლავსკი, კამენევი; პრაპორშჩიკები—სიკორსკი და ტრეგუბოვი, ზაურიად-პრაპორშჩიკები—გრიბარი და კოშელევი.

დაშავდნენ: გენერალ-მაიორი კოსოვიჩი (ჯარშივე დარჩა); პოდპორუჩიკები—ლიუბარსკი, დემიდოვი და პერმიკინი.

ბრძოლის ველზე დარჩა: პოდპორუჩიკი გრაბოვსკი.

# ახალი ამბავი

◆ 4 სექტემბერს **ბაქოში ხოლერით ავად გახდა** 7 წლის ბავშვი, სატუსაღოს უფროსის შვილი, ხოლო 6 სექტემბერს—ერთი მაჰმადიანი ქალი. ბავშვი 4 სექტემბერსვე გადაიცვალა.

◆ გუშინ, 9 სექტემბერს, **სახელმწიფო კონტროლერმა** ინფანტერიის გენერალმა ლობკომ რევიზია უყო საკანტროლო პალატას.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს, რა მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს ქალაქ ტფილისს იმ ხარჯში, რომელიც დასჭირდება იმ მოსწავლეთა შენახვას ტფილისის სასწავლებლებში, რომელთა მამებიც **ომში დაიღუპნენ**.

◆ სახალხო სკოლების დირექტორმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას განთავისუფლოს სწავლის ფულისაგან სახელოსნო სასწავლებლის ის მოსწავლენი, რომელთა მამებიც **ომში იქმნენ დაჭრილ-მოკლულნი**.

◆ როგორც ვწერდით, ინჟინერმა თავ. ნ. ა. ჩოლოყაშვილმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება დართოს ქუჩების გასანათებლად **გაზის ქარხანა გამართოს**. თავ. ჩოლოყაშვილმა გუშინ წარუდგინა გამგეობას პროექტი ქარხნის მოწყობისა.

◆ 7 აგვისტოს **პეტერბურგს წავიდნენ** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ივანოვსკი, ლიანდაგის უფროსი აკორონკო, უფროსი ბუხჰალტერი პუშკარევი და კანცელარიის უფროსი გრიგორიევი. ამათ მონაწილეობა უნდა მიიღონ გზათა სამინისტროს იმ კომისიაში, რომელმაც 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვა უნდა შეიმუშავოს.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებით მინისტრის რწმუნებულის ხელმძღვანელობით განჯის გუბერნიასა და ერევანში გაიმართება **კრებები ბამბის მომყვან-მომშენებელთა** და მრეწველთა საჭირო საკითხების გამოსარკვევად კავკასიაში მეურნეობის ამ დარგის საქმის გასაუმჯობესებლად. განჯის გუბერნიის სოფელ აღდაშში კრებები მოხდება 5-დან 7 ოქტომბრამდე, ხოლო ქალაქ ერევანში—14—16 ოქტომბრამდე. კრებების მოწყობის საქმე მიენდობა აგრონომ ტარატინოვს და სხვა მოხელეთ, რომელთაც სამინისტროს რწმუნებული დანიშნავს. ვისაც კრებებში მონაწილეობის მიღება უნდა, განცხადება უნდა წარუდგინოს წინდაწინვე მინისტრის რწმუნებულს. რწმუნებულსავე უნდა წარედგინოს კრებაზე განსახილველი მოხსენებანი.

◆ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, 3 სექტემბერს სოფელ ყრუსციხესთან მდებარე ოშნუბანის სახელმწიფო **ტყეს დიდი ცეცხლი გაჩენია**. ცეცხლის საქრობლად გაუწვევიათ ორი სოფლის საზოგადოების გლეხები. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერაც არ არის გამორკვეული.

◆ 23 სექტემბრისათვის დანიშნულია **„კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების** საგანგებო კრება. კრება მოხდება თელავში.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი საინტერესო წიგნი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემული,—„**ჩარლზ პარნელი**“ (ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან) რუსულიდან თარგმნილი ვ. ლ—ძეს მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს იაფად—ხუთ შაურად (120 გვერდია წიგნში).

◆ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ **ჭიათურაში დაარსებულ საქალაქო სკოლის** ინსპექტორად დაინიშნა თ. ვ. ჯაყელი.

◆ ხმოსანმა დუნკევიჩმა გუშინ განცხადება წარუდგინა ტფილისის ქალაქის სანიტარო კომისიას. დუნკევიჩი კომისიის ყურადღებას აქცევს მუშტაიდის ბაღის ანტისანიტარულ მდგომარეობას. მუშტაიდში ყოველ დღე, და განსაკუთრებით კვირა-უქმეობით, დიდ-ძალი ხალხი დადის. რადგან საზოგადო ფეხის ადგილები არ არის, მეტად ბინძურდება მთელი ბაღიო.

◆ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს წინაშე თიანეთის პირველ ნაწილის ბლაღოჩინს შუამდგომლობა აღუძრავს სოფ. მუქოში (ფშავში) ქალთა ერთკლასიან სკოლის დაარსების შესახებ, რადგან მთელ ამ მაზრაში ერთი ქალთა სკოლა არსებობს მხოლოდაო. საზოგადოების საბჭოს ეს თხოვნა გადაუცია ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსთვის.

◆ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნარბეკოვი რუსეთში გადაიყვანეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, 7 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, პასტერის ქუჩაზე შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: როგორც ეტყობა, წინასწარ განზრახვით, ამ ქუჩაში ერთს ადგილას შეჩერებულა ორი უცნობი კაცი, რომელთაც სდომებიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიის უფროს ნოქარ ქალის ალექსანდრა ვასილიევის გაძარცვა, რადგან ჰგონებიათ, რომ იგი ამ საღამოს შინ წაიღებდა მთელი დღის შემოსავალს. მართლაც, როდესაც გამოუვლია ქ-ნ ვასილიევისას, მისცვივნიან, შეუყრიათ თვალებში დაფხვნილი თამბაქო, გამოუგლეჯიათ ხელიდან ქისა, რომელშიაც საკუთარი ფული 25 მან. ჰქონებია, და გაქცეულან. ქალს მაშინვე მაღაზიის კანტორაში მიურბენია. დაუძახნიათ პოლიციელებისათვის, ბოროტ-მოქმედთ გამოსდევნებიან, მაგრამ ვერ დასწევიან.

◆ წარსულ აგვისტოში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ შემნახველ-გამსესხებელ კანტორაში შესანახად შეუტანიათ 47,746 მან. 50 კაპ., ხოლო გამოუტანიათ 24,808 მან. 87 კაპ. პირველ იანვრიდან 1 სექტემბრამდე ამა წლისა კასსაში შეუტანიათ 494,030 მან. 95 კაპ. და გაუტანიათ 213,477 მან. 88 კაპ.

◆ კავკასიის საბებიო ინსტიტუტში წელს მიიღეს 61 მოსწავლე. მთხოვნელი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ, უადგილობისა გამო, უარი უთხრეს.

◆ ბ-ნი ს. საყვარელიძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „17 აგვისტოს, ჩაქვში, ჩემის ოთახიდან მოიპარეს ჩემი სასიმღერო თხზულებები, სულ 18 თაბახი ნაწერი ნოტი; ამას თან მიაყოლეს ოფიციალური მიწერ-მოწერა პეტერბურგში გადაყვანის შესახებ და ბ-ნ ნ. ნიკოლაევის აზრი ჩემს მუსიკალურ ნიჭის შესახებ. ყველა სიმღერის ცალ-ცალკე ეწერა ქვეშ ჩემი გვარი და სახელი. ჩემს საკუთარ ნოტებთან მოიპარეს თორმეტი თაბახი ნოტი სხვა ავტორებისა, და სახალხო სიმღერები ოთხ ხმაზედ გადაკეთებული. ქურდობა, მე ვგონებ, მტრობითა და ინტრიგით არის ჩადენილი, მაგრამ მაინც ვთხოვ ყველას, გამოაცხადოს, თუ სადმე შენიშნავს ჩემს ნოტებს და სიმღერებს. დაიკარგა შემდეგი სიმღერები: 1. მერანი, 2. სამშობლო ხევსურისა, 3. ადამიანი, 4. ვუთნის დედა, 5. ლეკური, 6. კინტოური, 7. ჩუ, გლოვის ზარი, 8. ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა, 9. დაულური და ლეკური, 10. ალავერდი, 11. სულო ბოროტო, 12. არ მომკვდარა, 13. რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით, 14. იშლება ძველი დარდები, 15. ლოყით მოეპყარ, 16. ტყეს

---

ისტორიულ ცნობებს ისე აწვდის მასწავლებელი, თითქოს ახალ-საინტერესო ამბავს უყვება ბავშვებსაო. ერთის სიტყვით, სრულიად საჭირო არ არის, აქ ბავშვს მუდამ სახელ-მძღვანელო ეჭიროს ხელში და აზეპირებდეს ამა თუ იმ გაკვეთილს.

გამოსცადეთ აქაური ბავშვი და ნახავთ, რომ იგი ჩვენებურს ბევრად ჩამოუვარდება: ის ვერ გიამბობსთ ვერც ფინიკიის, ვერც ასსირო ბაბილონიის ისტორიას; არ იცის, როდის გარდაიცვალა ნაბუქოდონოსორი, როდის დაიბადა ნაბოპალასარი; ვერ გაამბობთ ეგვიპტის ფარაონების ბიოგრაფიას, ვერ მოგიყვებათ ძველ მეფეების ქრონოლოგიას წაღმა და უკუღმა. მაგრამ მშვენივრად-კი იცის შეერთებულ შტატების ისტორია. სკოლა ამ ისტორიას ძალიან სერიოზულად უყურებს, სცდილობს მით ბავშვებს „სამშობლო“ შეაყვაროს, მათში პატრიოტული გრძნობა აღზარდოს,

[illegible] ამერიკის განთავისუფლებისათვის მებრძოლ[illegible]ების მოსაგონებლად აქ უქმობა *) იციან. [illegible] უქმე დღეებში ბავშვები ისეთ[illegible] [illegible]ფრავებიან; აქ მათ მასწავ[illegible] [illegible]შვენელობას უხსნის, ისტორი[illegible] [illegible]ბებს აწვდის, შემდეგ ნაცა[illegible] და მუსიკით მიჰყავს ბავშვები ქუჩაზე ი[illegible] გმირ[illegible] ძეგლისაკენ, რომლის მოსაგონებლადაც უქმეა დანიშნული.

სკოლას უნდა, რომ იმისი მცირე-წლოვანი მოწაფე თანამედროვე ცხოვრებასაც ადევნებდეს თვალს. მასწავლებლის მოვალეობაა გააცნოს ბავშვებს ის, რაც დღეს ასე თუ ისე მთელ საზოგადოების ყურადღებას იქცევს. აი, მაგალითად: ეხლა ქვეყანა გატაცებულია რუსეთ-იაპონიის ომით. ბავშვმა, სკოლაში მოსიარულემ, იცის, რამ გამოიწვია ეს ომი, იცის რამდენი ჯარი ჰყავს იაპონიას, რამდენი რუსეთს, იცის ყოველივე ახალი ამბავი, ბრძოლის ველიდან აქ დეპეშით მოტანილი.

პირველ დაწყებით სკოლაშივე ბავშვებსავარჯიშებენ თხზულების წერაში. ჯერ მოწაფე 9 წლისა არ არის და უკვე სწერს თხზულებებს ისტორიულ თემებზე.

ასწავლიან თუ არა აქაურ სკოლაში სადმრთო სჯულს, აკითხვებენ და უხსნიან აქ თუ არა ბავშვებს დაბადებას? თუ ეს კითხვები საინტერესოდ მოგაჩნიათ, შემიძლიან, მკითხველო, გადმოგცეთ ამის შესახებ შემდეგი: ერთი კანონი შეერთებულ შტატებისა ამბობს: „სკოლაში ამა თუ იმ სარწმუნოებას უპირატესობა არ მიეცეს, სარწმუნოებრივ ცერემონიებს სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მასწავლებელს ნება არა აქვს ბავშვებს „დაბადება“ უკითხოს და ტენდენციურად აუხსნას ხოლმეო“. ამ კანონის ძალით სასკოლო პროგრამიდან სადმრთო სჯული ამოშლილია. მართალია, ზოგიერთ სკოლებში კითხულობენ „დაბადებას“, მაგრამ ახსნა-განმარტებას, კომენტარიებს კი ყოველთვის ერიდებიან.

სარწმუნოება კერძო საქმეაო, ამბობს აქაური სკოლა, და სცდილობს სარწმუნოებრივი კი არა, საზოგადოებრივი გრძნობა აღზარდოს თავისს მოწაფეებში. ამ აზრით სკოლაში იკრიბებიან ბავშვები თავისუფალ დროზედაც, აქ მასწავლებლის ხელმძღვანელობით სხვა-და-სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ბაასობენ, მსჯელობენ, კამათობენ; უფროსს კლასებში მოწაფეები ხშირად ჟურნალს სცემენ.

შევიხედოთ ეხლა სკოლაში გაკვეთილის დროს. პირველი გაკვეთილი ცხრა საათზედ იწყება. მასწავლებელი ამჩნევს, რომ რამდენიმე ბავშვი დღეს სკოლაში არ მოსულა, მაშინვე მშობლებს ბარათით სთხოვს, თუ თქვენი შვილი ავად არ არის, ეხლავე აქ გამოგზავნეთო. თუ ამით ვერას გახდა, მასწავლებელი ტელეფონით ატყობინებს ერთ გამგე პირს Bord of Education-ში. ეს პირი მაშინვე მიდის ბავშვის მშობლებთან და ბავშვი ძალით სკოლაში მიჰყავს.

ბავშვები გაკვეთილის დროს თავისუფლად სხედან, ეტყობათ მასწავლებლისა არ ეშინიათ; ზოგიერთები მასწავლებელს სრულიადაც ყურს არ უგდებენ, ერთმანერთში ლაპარაკობენ, ცელქობენ, ხმაურობენ;—დისციპლინა აუტანელია.

მასწავლებელი სცდილობს ბავშვები დააწყნაროს, მაგრამ იმისი ცდა უნაყოფოდ რჩება. მასწავლებელი მოთმინებიდან გამოდის, ნერვები ეშლება, და აი სცდის ბავშვზე ხელით მიიწიოს. „თქვენ კანონი ნებას არ გაძლევთ, რომ ჩვენა გვცემოთ“ გაიძახის ამ დროს ბავშვი, და მასწავლებელსაც აგონდება ეს კანონი, აგონდება, რომ ამ კანონის ძალით იგი უადგილოდ დარჩება. საბრალო ამ დროს მასწავლებელი, არ იცის, როგორ მოიქცეს: ბავშვი ფეხზე დააყენოს, დასწოქოს კუთხეში, თუ უსადილოდ დასტოვოს? არც ერთის ამის ნება არ აქვს. აგერ გაკვეთილიც თავდება და მასწავლებელი ეუბნება ცელქ-ბავშვს, ხვალ უსათუოდ მამა მოიყვანეო. მეორე დღეს მოდის ბავშვი, მამა კი არა სჩანს, ბავშვი გუშინდელსავით არც თვითონ ისვენებს, სხვებსაც ხელს უშლის. „ხვალ უსათუოდ მამა მოიყვანე, უმამოდ არ მოჰხვიდეო“, ეუბნება მასწავლებელი. ბავშვსაც ეს უნდა და მეორე დღეს სკოლაში არ მოდის. „არამც და არამც ბავშვს მიზეზი არ მისცეთ, რომ გაკვეთილს დააკლდეს ხოლმეო“,—მოუდის რამდენისამე დღის შემდეგ მასწავლებელს ასეთი მოწერილობა მთავრობისაგან.

აბა გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთო,—შეეკედრნენ მასწავ[illegible]ები ერთხმად მთავრობას (Bord of Education-ს.)

— საჭიროდ მიგაჩნიათ თქვენ ფიზიკური დასჯა ბავშვის დისციპლინის დასაცველად?—დაეკითხა მასწავლებლებს მთავრობა.

ამ კითხვაზე-კი მასწავლებლები ცოტა[illegible] შეუყუმანდნენ. კერძოდ რომ ჰკითხოთ, მათგანი თანახმაა ბავშვის დასჯისა ფიზ[illegible], მხოლოდ ყველას საზოგადოებისა ეშინიან [illegible] ასეთ აზრს ხმა მაღლა ვერ აცხადებს. ოცი ათას მასწავლებლიდან მარტო ხუთი ათასმა გაბედა და სთქვა: „ჩვენის აზრით, ბავშვის ფიზიკურად დასჯა ძალიან საჭიროაო“.

ჯერ ამის შესახებ Bord of Education-ს თავისი გადაწყვეტილება არ გამოუცხადებია, მაგრამ, ეჭვი არ არის, იგი ამის წინააღმდეგი იქნება. ის სცდილობს სხვა საშუალება მონახოს სკოლაში დისციპლინის დასაცავად.

(დასასრული იქნება)

სეეთი.

---

*) საეკლესიო უქმეები ამერიკაში არ არსებობს.

ესხმება ფოთოლი, 17. ქართლის დედას, 18. პოეტი, 19. მტკვარი, 20. სუმბული და მწირი, 21. სატრფოვ, მახსოვს, 22. დამქროლა ქარმან სასტიკმან, 23. გრძნობავ დაჩლუნგდი, 24. ტურფავ, ტურფავ, 25. ჩანგურს, 26. მუშური, 27. გამოიცვალა ქვეყანა“.

# სასამართლო

I

დღეს, 10 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერკავკასიის რკინის გზის კონდუქტორის თავ. ვიქტორ ჩიჩუასი, რომელსაც ბრალდება პრინცესსა კადჯარის ნივთებიდან ბრილიანტის საგულესი, ბრილიანტებით მორთულის სამაჯურისა და სხვა ნივთების მოპარვა.

II

გუშინ, 9 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გორის მაზრის მცხოვრების პირა კოკოშვილისა. კოკოშვილისათვის წარსულ წელს ნაძალადევში უნახავთ ყალბი თითო მანეთიანები, ათ შაურიანები და წვრილი ფული. კოკოშვილი პასუხის გებაში მიუციათ, როგორც ყალბი ფულის მჭრელი და გამვრცელებელი. ოლქის სასამართლომ ამას წინად განიხილა ეს საქმე და კოკოშვილი გაამართლა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 სექტემბერი

**მუკდენი, 8 სექტემბერი (ბერლინის გზით).** მუკდენის მიდამოებში, განსაკუთრებით მდ. ხუნის სამხრეთით, ჩინელებმა დასტოვეს სოფლები მოსალოდნელ ბრძოლის შიშით. ფრანგი მისიონერები იტყობინებიან, რომ იაპონელები განსაკუთრებულის ძლიერებით მიდიან რუსების მარცხენა ფრთეს წინააღმდეგ. ოიამა ვითომ ძალიან უკმაყოფილო უნდა იყოს, რომ კუროკიმ ბრძოლის უკანასკნელ დღეს ვერ მოახერხა რკინის გზის ლიანდაგამდე მისვლა, რისთვისაც საყვედურიც უნდა მიიღოს.

**ირკუტსკი.** ბაიკალის გარშემო გაყვანილ რკინის გზის ოფიციალურად გახსნა განზრახულია 12 სექტემბრისათვის.

**ხარბინი, 8 სექტემბერი (საკუთ. კორ.).** მოსულ ცნობებით, 7 სექტემბერს იაპონელებმა, ერთ ბრიგადამდე, ორჯელ მიიტანეს იერიში ჩვენ რაზმზე, რომელსაც პოზიცია დალინის უღელტეხილთან ეჭირა, მაგრამ ორივეჯერ უკუ-ქცეულ იქმნენ. 7 სექტემბერს ჯარის სამხრეთ ფრონტზე ცვლილება არაფერი მომხდარა. დალინის უღელტეხილთან მომხდარ შეტაკებაში ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 70. დაჭრილების ერთი ნაწილი ჯარშივე დარჩა. ბრძოლის ველიდან ახალი ამბავი არაფერი მოსულა. არმიაში ცვლილება არ მომხდარა. დალინის უღელტეხილის აღმოსავლეთით შეამჩნიეს იაპონელების პატარა რაზმი, ასე ქვეითა ჯარის ერთ პოლკამდე.

**ჩიფუ, 8 სექტემბერი („რეიტ. სააგ.“).** პორტ-არტურთან იაპონელებმა დადგეს დალნიდან მოტანილი ახალი ზარბაზნები. ეს ზარბაზნები დადგმულია იმ პოზიციებზე, რომლებიც უკანასკნელ იერიშის დროს წაართვეს რუსებს. ტყვე იაპონელების სიტყვით, იაპონიის ფლოტის დიდი ზარბაზნები განუწყვეტელ სროლის გამო სერიოზულად არის დაზიანებული; ამიტომაც მათი იერიში ზღვიდან წინანდელზე სუსტია. თუმცა იაპონიის ოფიციალურ წრეებში ამბობენ, რომ პორტ-არტური ნოემბერში მიკადოს დაბადების დღეს უნდა აიღონო, მაგრამ მაინც შესაძლოდ სთვლიან, რომ ციხეს გაზაფხულზე ადრე ვერ აიღებენო. დიდ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იაპონელები დალნში საზამთრო ბინას აშენებენ. ჩიფუში მყოფმა რუსეთის კონსულმა პეკინში საჩივრის დეპეშა გაგზავნა, 700 იაპონელი რუ[illegible]თის საკონსულოს ახლო არისო და დაცვა [illegible]ხოვა. დაოტაიმ, რომელსაც ბრძანება [illegible]ვიდა რუსეთის კონსულის მფარველობა [illegible]წიეო, უპასუხა, რომ ის იაპონელები, რო[illegible]ბზედაც რუსეთის კონსული ჩივის, მანჯურიიდან გამოქცეულები არიან და აქ პორტ-არტურის ამბავს ელიანო. ესენი შიმშილით იხოცებიან. დაოტაი დარწმუნდა, რომ ისინი მშვიდობიანი ხალხია.—რუსეთის ოფიციალურ წყაროდან იტყობინებიან, რომ ზამთარი უფრო მოხერხებულია რუსის ჯარების ოპერაციებისათვის, რადგან სიცივეს უფრო შეჩვეულნი არიან. იმავ წყაროდან მოვიდა ცნობა, რომ როცა კუროპატკინი სამხრეთისაკენ წავა, პორტ-არტურთან ორ თვეზე ადრე მივა. კუროპატკინის უკანასკნელ დეპეშაში, სტესელს რომ მისწერა, ნათქვამია, რომ ცდა ციხის განთავისუფლებისა მოხდა იმ დროს, როცა პორტ-არტურში ბალტიის ესკადრა მივა.

**ლასპალმას, 8 სექტემბერი („რეიტერის სააგ.“).** მოვიდა „ტერეკ“-ი ვიგოდან ნახშირი დაუღო და სამხრეთისაკენ წავიდა. გემზე 400 მეზღვაურია და 14 ზარბაზანი.

7 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დაინიშნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალი გრაფი იგნატიევი—გენერალ-ადიუტანტად, პოდპოლკოვნიკი ტარანოვსკი—ერევნის ვიცე-გუბერნატორად. პეტერბურგის სატეხნოლოგო ინსტიტუტის დირექტორი ზერნოვი უმოწყალესად დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან; ზერნოვი პროფესორად დარჩა ამავე ინსტიტუტში.

**მოგილევი.** საერობო მეურნეობის საქმეთა კომიტეტმა გადასდო 14,250 მან. სახალხო ბიბლიოთეკების შესავსებად. უკვე არსებობს 285 ბიბლიოთეკა. კომიტეტმა დაადგინა, იშუამდგომლოს საგუბერნიო და სამაზრო სამოსწავლო საბჭოების დაწესებისა და სამაზრო კომიტეტების ხმოსანთა რიცხვის გადიდების შესახებ.

**მინსკი, 6 სექტემბერი.** საგუბერნიო საერობო კომიტეტმა საჭიროდ სცნო სახელოსნო განათლების გავრცელება. კომიტეტმა დაადგინა, დაარსოს სადღელად ორ-კლასიანი სახელოსნო სასწავლებელი ლიუბანში.

**კიევი, 7 სექტემბერი.** 5 სექტემბრის ნიაღვრებმა სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზის ლუნაის შტო შესამჩნევად დააზიანა. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. 6 სექტემბერს საღამოთი მიმოსვლა აღადგინეს.

**ბელგრადი, 7 სექტემბერი („კორ. ბიურო“).** გერმანიის და საფრანგეთის ელჩებმა გადასცეს დღეს მეფეს წერილები იმპერატორ ვილჰელმისა და პრეზიდენტ ლუბესი. ბოლგარიის საგანგებო დესპანმა გადასცა მეფეს ბოლგარიის მთავრის წერილი.

**ბელგრადი, 7 სექტემბერი.** 6 სექტემბერს მეფემ მიიღო იტალიისა და ავსტრიის ელჩები. დღეს მეფე მიიღებს გერმანიის, საფრანგეთის და რუმინიის ელჩებს. დღეს მეფის თანდასწრებით გაიხსნა საეთნოგრაფიო მუზეუმი; შემდეგ მოხდება სამეცნიერო აკადემიის სადღესასწაულო კრება, რომელსაც მეფეც დაესწრება. დიდ ძალი ხალხი იკრიბება. განსაკუთრებული მატარებლები ყოველ დღე მოდიან. თუმცა ავსტრია ხელს უშლის, მაგრამ სლავიანნი მაინც ბლომად იკრიბებიან.

**ფერრარა, 7 სექტემბერი („სტეფ. სააგ.“).** ბოლონიიდან ვენეციაში მიმავალი სწრაფი მატარებელი დაეტაკა ორთქლმავალს. 3 კაცი მოკვდა და 16 დაშავდა, ამათგან 6 მძიმედ.

8 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, დაწესდეს თანამდებობა მთელ არტილერიის ინსპექტორისა. დიდ მთავარს სერგეი მიხეილის ძეს დაევალა ინსპექტორის თანამდებობის ასრულება, როდესაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე სხვაგან იქმნება.

**პატარა შნეიდეკი (ინტერლაკენის მახლობლად).** ჰაეროსნავტი სპელტერინი აეროსტატით აფრინდა იუნგფრაუს რკინის გზის ეიგერგლეჩერის სადგურიდან.

**ადელბოდენი.** სპელტერინი მშვიდობიანად დაეშვა ჰაეროსტატით ადელბოდენის მახლობლად, იმ ადგილიდან, საიდანაც აფრინდა, 45 მილიმეტრის მანძილზე.

**ბელგრადი, 7 სექტემბერი.** მოვიდა ჩერნოგორიის ტახტის მემკვიდრე დანიელი მეუღლითურთ. სადგურზე მეფე მიეგება.

**ბელგრადი, 7 სექტემბერი.** განსაკუთრებულ აუდიენციაზე რუსის ელჩმა გუბასტოვმა გადასცა მეფეს ხელმწიფე იმპერატორის მილოცვის წერილი. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაახარა ყველანი.

**ბელგრადი, 8 სექტემბერი.** მოხდა გვირგვინის კურთხევა.

**კუზნეცკი, 8 სექტემბერი.** დაარსდა რეალური სასწავლებელი.

**მინსკი.** გუბერნიის საერობო კომიტეტმა თვითეულ მაზრის სასკოლო საქმეებისთვის გადასდო 8,000 მან. ამას გარდა გადასდო ფული იგუმენში პროგიმნაზიის დასაარსებლად.

**პეტროპავლოვსკი.** ქალთა პროგიმნაზია გიმნაზიად გადაკეთდა.

**სტამბოლი, 7 სექტემბერი („კორ. ბიურო“).** რადგან პორტ-საიდში, ერთი კაცი შავი ჭირით გახდა ავად, იქიდან წამოღებულ საქონელს ექიმები შინჯავენ.

9 სექტემბერი

**ვილნო, 9 სექტემბერი.** ჯარის უფროსმა გენერალ-ადიუტანტმა გრიპენბერგმა გამართა სადღესასწაულო სადილი შინაგან საქმეთა მინისტრის პატივსაცემლად.—ეკატერინე მეორის ძეგლის კურთხევის დასასწრებლად მოვიდნენ გუბერნატორები მინსკისა, მოგილევისა, ვიტებსკისა, კოვნოსი და გროდნოსი. ელიან დიდ-ძალ საზოგადოებას.

**ბერლინი, 8 სექტემბერი.** შვეციის მეფეს ოსკარს რამდენიმე დღეა ყელი სტკივა.

**სტამბოლი, 7 სექტემბერი („კორ. ბიურო“).** რამდენმამე ასმა სათადარიგო ჯარის კაცმა სალონიკში ოცამდე დუქანი გაძარცვა. მიზეზი სამშობლოში გაგზავნის დაგვიანება და ჯამაგირის მიუღებლობაა. სამოქალაქო მოხელენი მათ დასჯას თხოულობენ.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად უმაღლესად დანიშნული კომისია აცხადებს, რომ 25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე კასპიის იქითა მხარეში კიდევ გახდა ხოლერით ავად 22 კაცი. ამათგან სამი სამხედრო პირია. 12 მოკვდა. წინა კვირასთან შედარებით სენმა ძალიან იკლო. კასპიის იქითა მხარეს გარდა ხოლერა იყო კიდევ ბაქოში, სადაც 31 აგვისტოს ავად გახდა ორი თათრის ქალი და ერთი რუსი და 4 სექტემბერს ერთი ბავშვი.

**სევასტოპოლი, 9 სექტემბერი.** შავიზღვის ფლოტი მიდის [illegible]ზღვაში მანევრებისათვის, რომელიც რამდენიმე [illegible] გაგრძელდება. როგორც ისმის, ხმელეთის ჯარისა და ფლოტის მანევრები ერთად აღარ [illegible]ხდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებან

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი,
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვის
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ, საღამ
5—7 საათ. (37—3512—

ალექ. კოსტავა
მაღაზია ქუთაისში,
ბულვარის პირდაპირ სობოროს გვერ
იყიდება ყოველგვარი შეკერილი ევროპიული ტან
მოსები, მაგალითად: პალტოები ათი მანეთი
ოცდა თხუთმეტ მანეთამდე, მთელი კოსტიუმი
მანეთიდან 35 მანეთამდე, შარვლები, კრახმალი
პერანგები, ზაპონკები, ტროსტები და ყოველგვა
თეთრეული. შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ ევროპი
ტანისამოსებისა და იყიდება არშინობით საზღ
გარეთული და რუსული მატერიები.
ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრე კოსტავა. (8—3)



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдл
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფ
ვისა, № 92, საზაფხულო სობრ
ნიის ახლოს. (წ.—176—90

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრები
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრო
ჭედლების ქუ. კუთხეში. სადილი ორი თავით,
ამრაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ.
ლებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთ
25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევა
აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილი
ა—12 ს. საღ. (88—52—51)

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისა
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში.
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს (თხოვენ
ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს,
განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლიწადს
„1860“ და სიტყვას
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხ
ბრიკის ნიშა
ნარდ ათ ვა
აწარმოებს
ჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს,
ტაშკენტში. და ტფილისს
(60—29)